

საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის

ბრძანება №5

2001 წლის 15 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ

„ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12, მე-15 მუხლის საფუძველზე:

1. შეიქმნას საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. დამტკიცდეს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის თანდართული დებულება.

ზ. გაიპარაშვილი

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდი (შემდგომში – ფონდი) არის „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. ფონდი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით და წინამდებარე დებულებით.

3. ფონდს აქვს ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, ფონდის სახელწოდების აღნიშვნით, დამოუკიდებელი ბალანსი და საკუთარი ანგარიში.

4. ფონდი მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

5. ფონდის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვაჟა - ფშაველას გამზირი, 76 ბ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 24 მაისის ბრძანება №3/152-სსმIII, №72, 30.05.2006წ.; მუხ.900

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

II. ფონდის მიზნები და ამოცანები

6. ფონდის მიზნები და ამოცანებია:

ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული სათათბიროს გადაწყვეტილებით, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების პროგრამების, ღონისძიებებისა და პროექტების დაფინანსება და ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების ხარჯვის კონტროლი ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ) დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის რეალიზაციის, მის ძირითად მიმართულებებთან ფონდის საქმიანობის ჰარმონიზაციისა და აგრეთვე თავად ფონდის საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით.

გ) ახალგაზრდული და საზოგადოებრივი პროექტების დასაფინანსებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საგრანტო კონკურსების ორგანიზება და გრანტების გაცემა.



საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 24 მაისის ბრძანება №3/152-სსმIII, №72, 30.05.2006წ.; მუხ.900
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №32, ვებგვერდი - 01.03.2012წ.
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 2 მაისის ბრძანება №01/282 - ვებგვერდი, 08.05.2013წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 17 მაისის ბრძანება №73/ნ - ვებგვერდი, 18.05.2018წ.

III. ფონდის უფლება-მოვალეობანი

7. ქვეყანაში დადგენილი წესების დაცვით დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად ფონდს, თავისი კომპეტენციის ფაგლებში, უფლება აქვს:

ა) მოამზადოს საკითხები ფონდის კომპეტენციის სფეროებიდან და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს ფონდის სახსრების ხარჯვის კონკრეტული მიმართულებანი;

გ) იმოქმედოს საქართველოს კანონის „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად;

დ) მიიღოს შემოწირულობანი საქართველოს და საზღვარგარეთის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;

ე) მიიღოს გრანტი დადგენილი წესით;

ვ) პოპულარიზაცია გაუწიოს საკუთარ საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

ზ) ორგანიზება გაუწიოს ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას;

თ) ამ პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახსრების მიღების შემთხვევაში, გარდა ამ დებულების მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებებისა, კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის რეალიზაციასა და ფონდის საქმიანობის პოპულარიზაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2012 წლის 24 თებერვლის ბრძანება №32, ვებგვერდი - 01.03.2012წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

IV. ფონდის სახსრები

8. ფონდის სახსრები ფორმირდება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში;

ბ) საქართველოს და საზღვარგარეთის ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობებით;

გ) გრანტებით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

V. ფონდის სახელმწიფო კონტროლი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

9. ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც ფონდის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.;



მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

10. საქმიანობას, რომლისათვისაც საჭიროა სპეციალური თანხმობა, ფონდი განახორციელებს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, სათანადო უფლებამოსილი ორგანოებისაგან თანხმობის მიღების შემდეგ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ფონდის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

VI. ფონდის ხელმძღვანელობა

12. ფონდს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2004 წლის 15 ივლისის ბრძანება №3/125-სსმIII, №73, 19.07.2004წ.; მუხ.64

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

13. დირექტორი:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტს ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს;

ბ) მინდობილობის გარეშე მოქმედებს ფონდის სახელით, წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს;

დ) აკონტროლებს მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის საქმიანობას.

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის დირექტორის მოადგილეს(ებს), ფონდის სხვა თანაშრომლებს და, საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით, აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან;

ვ) (ამოღებულია - 09.02.2016; №01/165).

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 24 მაისის ბრძანება №3/152-სსმIII, №72, 30.05.2006წ.; მუხ.900

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 28 მარტის ბრძანება №38, ვებგვერდი - 31.03.2011წ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 29 იანვრის ბრძანება №01/37, ვებგვერდი - 30.01.2013წ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანება №01/165 - ვებგვერდი, 11.02.2016წ.

VII. დასკვნითი დებულებები

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

14. ფონდის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს ფონდის დირექტორი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

15. ფონდის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №209/ნ - ვებგვერდი, 05.01.2018წ.

16. ფონდის რეორგანიზაცია და საქმიანობის შეწყვეტა ხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №40-სსმIII, №108, 31.08.2010წ.; მუხ.1685

